ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2011 წლის 17 ივნისის სხდომის

ოქმი №9

ქ. ლაგოდეხი
2011 წელი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი №7

2011 წლის17 ივნისი ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე- გ. გოზალიშვილი;

სხდომას ესწრებდნენ:

საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის);

გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი - გ. მანგოშვილი;

გამგეობის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის უფროსი-აკ. ჭედლიშვილი;

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ,,კულტურის ცენტრის'' დირექტორი-
ნ. თანდაშვილი;

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი -ი. სიყმაშვილი;

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ბუღალტერი - მ.ხელაშვილი;

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ,,სპორტული კომპლექსის'' ბუღალტერი -
მ. შარიქაძე;

გამგეობის საფინანსო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი - ვ. მჭედლიძე.

აპარატის უფროსი - გ. მესხიშვილი;

აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი - თ. ნანობაშვილი;

აპარატის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი - მ. სიუკაშვილი;

რადიო ,,ჰერეთი''-ს კორესპონდენტი - ხ. გოგაშვილი.

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 დეკემბრის №40 დადგენილებაში ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცვლილებების შეტანის თაობაზე;

/მომხს: გ. გოზალიშვილი, გ. ტურაშვილი, გ. მანგოშვილი/

გადაწყვიტეს:

შეტანილ იქნეს ცვლილებები ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 დეკემბრის №40 დადგენილებაში ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ''.

/დადგენილება №10 თან ერთვის/

მოისმინეს:

მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასფალტო-ბეტონის საფარიანი გზების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვისათვის გარიგების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხს: გ. გოზალიშვილი, გ. ტურაშვილი, გ. მანგოშვილი/

გადაწყვიტეს:

მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასფალტო-ბეტონის საფარიანი გზების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოების შესაყიდვისათვის გარიგების დადებაზე. (შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა - 629.223 ლარი)

/განკარგულება №25 თან ერთვის/

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 დეკემბრის №53 განკარგულებაში ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2011 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს: გ. გოზალიშვილი, გ. ტურაშვილი, გ. მანგოშვილი/

გადაწყვიტეს:

შეტანის იქნეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 დეკემბრის №53 განკარგულებაში ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2011 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ''.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2011 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდეს დანართების შესაბამისად.

/განკარგულება №26 თან ერთვის/

მოისმინეს:

არასამეწარმეო /არაკომერციული/იურიდიული პირების ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ,,კულტურის ცენტრის'', ,,სპორტული კომპლექსის'' და ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების'' აუდიტორული და 2010 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშები;

/მომხს: გ.ტურაშვილი, ე. ლომთაძე/

საკრებულოს თავმჯდომარე: /გიორგი გოზალიშვილი/